საქართველოს ინტეგრაციის საგრანტო პროგრამა

სრული საპროგნოზო ბიუჯეტი:	$4,000,000 (2023 – 2026)
გრანტის გაცემის თარიღები:	ყველა სახის გრანტის გაცემა უნდა დასრულდეს 2026 წლის 15 დეკემბრამდე
ინდივიდუალური გრანტის ხანგრძლივობა:	18 თვემდე
ბიუჯეტის ზედა ზღვარი ინდივიდუალურ გრანტზე:	$ 120,000 *
ვის შეუძლია მონაწილეობა:	სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, მედია, უნივერსიტეტები, ბიზნესები, სტარტაპები და სხვა.
საგრანტო ინსტრუმენტები:	ფიქსირებული ოდენობის გრანტები, საგრანტო ხელშეკრულებები, გრანტების თანადაფინანსება
ბოლო ვადა:	ღია კარის საგრანტო პროგრამა
გაიცემა:	USAID-ის პროგრამის „ერთიანობა მრავალფეროვნებაშია “ფარგლებში 72011422CA00003

USAID-ის პროგრამა „ერთიანობა მრავალფეროვნებაშია“იწყებს განაცხადების მიღებას კერძო და სამოქალაქო ორგანიზაციებიდან, რომლებიც აკმაყოფილებენ აღნიშნული საგრანტო პროგრამის მიზნებს. უფლებამოსილ მხარეებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან განაცხადის წარდგენით, ვთხოვთ საფუძვლიანად გაეცნონ წარმოდგენილი განაცხადის მოთხოვნის ფორმას (RFA), რათა კარგად გაითავისონ პროექტის არსი, განაცხადის წარდგენის მოთხოვნები და შერჩევის პროცესი.

წარმოდგენილი საგრანტო პროგრამა, რომელშიც შესაძლოა დროდადრო შევიდეს ცვლილებები გამოქვეყნებულია www.una.ge-ს ვებ-გვერდზე. განმცხადებლის პასუხისმგებლობაა რეგულარულად შეამოწმოს ვებ-გვერდი, რათა დარწმუნდეს, რომ უახლეს ინფორმაციას ფლობს საგრანტო პროგრამასთან დაკავშირებით.

საგრანტო განაცხადი უნდა გაიგზავნოს ელექტრონულად, შემდეგ ელ. ფოსტაზე una@una.ge (სათაურის ველში აუცილებლად უნდა მიეთითოს “Georgia Integration Grants Facility”). ონლაინ საინფორმაციო შეხვედრები ჩატარდება სულ მცირე წელიწადში ორჯერ, შეხვედრებთან დაკავშირებით ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება საქართველოს გაეროს ასოციაციის ვებ-გვერდსა და სოციალური მედიის გვერდზე. საგრანტო განაცხადში მითითებული უნდა იყოს სრული საკონტაქტო ინფორმაცია, მათ შორის საკონტაქტო ელ.ფოსტა, ინფორმაცია საკონტაქტო პირის შესახებ, ტელეფონის ნომერი და მისამართი.

სარჩევი

განაცხადების მიღება ***4***

შესავალი **4**

დაფინანსების მიმართულებები **6**

ოპერაციული პრიორიტეტები **7**

დაფინანსების შეფასება **9**

საგრანტო ინსტრუმენტები **10**

თანადაფინანსება **11**

ქვეგრანტები **11**

შესრულების ვადები **11**

შესრულების ადგილი **12**

შესაბამისობა **12**

ორგანიზაციები და აქტივობები, რომლებიც არ არის დაშვებული **13**

შეფასების კრიტერიუმები **15**

განაცხადის წარდგენის მოთხოვნები **16**

შესაძლებლობების გაძლიერება **21**

ერთობლივი განაცხადები **21**

სუბიექტის უნიკალური იდენტიფიკატორი **21**

გრანტის ვადები **22**

გენდერული და სოციალური ინკლუზია **23**

არსებითი ჩართულობა **23**

სხვა ინფორმაცია **24**

განაცხადების მიღება

USAID-ის პროგრამა „ერთიანობა მრავალფეროვნებაშია" მოხარულია დაიწყოს განაცხადების მიღება საქართველოს ინტეგრაციის საგრანტო პროგრამის ფარგლებში, იმ აქტივობების მხარდასაჭერად, რომლებიც მიმართულია საქართველოს ინკლუზიური სამოქალაქო და ეკონომიკური განვითარებისკენ. საქართველოს ინტეგრაციის საგრანტო პროგრამის ფარგლებში გაცემული ყველა გრანტი უნდა ემსახურებოდეს მრავალფეროვნების, თანასწორობის, ერთიანობის, მულტიკულტურალიზმის, ერის ერთიანობის მშენებლობის, სოციალური ერთობის, კერძო სექტორის ჩართულობის, უმცირესობების სოციალური და ეკონომიკური ინტეგრაციისა და ინკლუზიის ხელშეწყობას.

საგრანტო პროგრამის დეტალები, მათ შორის მონაწილეობის კრიტერიუმები, პრიორიტეტები, განაცხადის წარდგენის პროცესი, ანგარიშგება, ასევე, ინფორმაცია მონიტორინგისა და შეფასების შესახებ წარმოდგენილია მოცემულ დოკუმენტში. საქართველოს გაეროს ასოციაცია უფლებას იტოვებს ნებისმიერ განაცხადის დაფინანსების შესახებ. მას ასევე შეუძლია არ დააფინანსოს არცერთი განაცხადი ამ პროგრამის ფარგლებში. ნებისმიერი გრანტი ან შემდგომი დამატებითი დაფინანსება დამოკიდებული იქნება საგრანტო პროგრამის ფინანსების ხელმისაწვდომობასა და საგრანტო პროგრამის ძირითად პრიორიტეტებთან შესაბამისობაზე.

მოცემული საგრანტო პროგრამის გამოცხადება არ წარმოშობს გრანტის გაცემის ვალდებულებას საქართველოს გაეროს ასოციაციას ან USAID-ის მხრიდან, ასევე, საქართველოს გაეროს ასოციაცია არ არის პასუხისმგებელი კითხვების ან განაცხადის მომზადებასა თუ წარდგენასთან დაკავშირებულ ხარჯებზე. განაცხადის მომზადებისა და წარდგენის ხარჯებზე პასუხისმგებელი არის განმცხადებელი.

შესავალი

საქართველოს ინტეგრაციის საგრანტო პროგრამა ხორციელდება USAID-ის პროგრამის „ერთიანობა მრავალფეროვნებაშია" ფარგლებში (პროგრამის ბიუჯეტი - 20 მილიონი აშშ დოლარი; განხორციელების ვადები - 2022 – 2027 წლები).

პროგრამის მიზანია სამოქალაქო და სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის მდგრადი ეროვნული ჩარჩოს განვითარების ხელშეწყობა საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორის ჩართულობით.

ზემოხსენებული მიზნის მიღწევას პროგრამა გეგმავს სამოქალაქო, საჯარო და კერძო აქტორებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის შექმნით, მხარდაჭერის სხვადასხვა ინსტრუმენტების მეშვეობით, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების გაძლიერებით და ყველა შესაბამისი სახელმწიფო და არა-სახელმწიფო აქტორის ხელშეწყობით.

პროგრამის ამოცანებია:

- **ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების მონაწილეობის გაზრდა საჯარო პოლიტიკასა და სერვისებში:** ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობასა და უმრავლესობას შორის დიალოგის ხელშეწყობა; ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე საჯარო პოლიტიკის საკონსულტაციო მექანიზმების დანერგვა; ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებების ადვოკატირება და სტრატეგიული/სამართლებრივი დავების მხარდაჭერა; სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში უმცირესობების მონაწილეობის გამოწვევებსა და შესაძლებლობებზე ცოდნის პროდუქტების შექმნა.
- **ეთნიკური და რელიგიური უმცირესობებით ფართოდ დასახლებულ რეგიონებსა და სხვა რეგიონებს შორის ორმხრივად სასარგებლო სოციო-ეკონომიკური კავშირების შექმნა, გაფართოება და გაძლიერება:** ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების ჯგუფებისთვის მეწარმეობისა და ბიზნესის განვითარების მხარდაჭერა, საჯარო ფინანსებზე/სერვისებზე ხელმისაწვდომობის ზრდა, სამიზნე რეგიონებში კერძო სექტორის მიერ ინვესტიციების შექმნის წახალისება და ღირებულებათა ჯაჭვების დაკავშირება, უმცირესობების (მათ შორის ახალგაზრდების) აღჭურვა ბაზრისათვის საჭირო უნარებით და მნიშვნელოვანი კავშირების ჩამოყალიბების ხელშეწყობა ახალგაზრდებს შორის მთელი ქვეყნის მასშტაბით.

USAID-ის პროგრამა „ერთიანობა მრავალფეროვნებაშია“ოპერირებს მთელი ქვეყნის მასშტაბით და განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს შემდეგ რეგიონებსა და მუნიციპალიტეტზე:

რეგიონი	**მუნიციპალიტეტი**
ქვემო ქართლი	ნინოწმინდა, წალკა, გარდაბანი, დმანისი, მარნეული
სამცხე-ჯავახეთი	ახალქალაქი, ახალციხე, ნინოწმინდა
მთიანი აჭარა	შუახევი, ქედა, ხულო
კახეთი	ახმეტა, პანკისი, საგარეჯო, ყვარელი, ლაგოდეხი

პროექტი ხორციელდება არასამთავრობო ორგანიზაცია საქართველოს გაეროს ასოციაციის მიერ (UNA-Georgia, www.una.ge) - რომელიც 1995 წლიდან ახორციელებს ქართველი ხალხის დემოკრატიული მისწრაფებების მხარდაჭერასა და დაცვას. საქართველოს გაეროს ასოციაცია მუშაობს ადამიანის უფლებების დაცვის, სიტყვის თავისუფლების ხელშეწყობის, კარგი მმართველობის გაუმჯობესებისა და საჯარო პოლიტიკაში მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობაზე.

დაფინანსების მიმართულებები

ეროვნული ერთიანობის მშენებლობა ორმხრივი პროცესია, რომელშიც საზოგადოება ხელს უწყობს იმგვარი მრავალფეროვანი გარემოს განვითარებას, სადაც ყველა მოქალაქეს, განურჩევლად მისი წარმოშობისა, ეფექტურად უნდა შეეძლოს საკუთარი წვლილის შეტანა ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ და დემოკრატიულ განვითარებაში. სწორედ ამიტომ, ინტეგრაციის საგრანტო პროგრამის მიზანია ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების საზოგადოებრივ ცხოვრებაში მეტი ჩართულობის ხელშეწყობა და ურთიერთსასარგებლო სოციალური, სამოქალაქო და ეკონომიკური კავშირების გაძლიერება.

საგრანტო პროგრამის ფარგლებში ვიწვევთ ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, ანალიტიკურ ცენტრებს, უნივერსიტეტებს, მედია ორგანიზაციებს, კერძო სექტორის წარმომადგენლებს, ბიზნეს ასოციაციებს და სხვა დაინტერესებულ პირებს წარმოადგინონ საგრანტო განაცხადები, რომლებიც უნდა ეხმიანებოდეს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ ან რამდენიმე მიმართულებას:

- <u>სახელმწიფო ენა და წვდომა ხარისხიან განათლებაზე:</u> ინტეგრაციის გაუმჯობესების მიზნით ეთნიკური და რელიგიური უმცირესობებისთვის სახელმწიფო ენის სწავლების ხელშეწყობა არსებული ან ახალი სასწავლო შესაძლებლობების მეშვეობით და ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა განათლების ყველა ეტაპზე
- <u>თანასწორობა, სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობა:</u> მრავალეთნიკურ საზოგადოებაში თანასწორობაზე დაფუძნებული გარემოს წახალისება, ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, სამოქალაქო, პოლიტიკური და საზოგადოებრივი მონაწილეობის გაძლიერება, თანასწორობის პრინციპების დაცვა და ევრო-ატლანტიკური ღირებულებების თაობაზე ცნობიერების ამაღლება
- <u>სოციალური და ეკონომიკური ინტეგრაცია:</u> სოციალურ-ეკონომიკური ეკოსისტემის გაუმჯობესება ეთნიკური უმცირესობით დასახლებულ რეგიონებში, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობებისათვის სერვისებზე წვდომის გაუმჯობესება, მეწარმეობის და ბიზნესის განვითარების მხარდაჭერა, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდა და ეკონომიკური ინკლუზია.

- <u>ინტერკულტურული დიალოგი:</u> კულტურული მრავალფეროვნებისა და ინტერკულტურული დიალოგის მხარდაჭერა სოციალური ერთობის ხელშეწყობითა და სხვადასხვა თემებს შორის მეტი ურთიერთკავშირისა და პატივისცემის ჩამოყალიბებით, ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბება, რომელიც აფასებს და პატივს სცემს განსხვავებულობას და მსგავსებას სხვადასხვა კულტურასა და ტრადიციებს შორის.

ოპერაციული პრიორიტეტები

საგრანტო კონკურსი შედგება ორი ლოტისგან:

ლოტი 1 - სამოქალაქო ინტეგრაციის გრანტები რომლებიც ფოკუსირებულია შემდეგ თემებზე:

- ეთნიკური და რელიგიური უმცირესობებისთვის ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა სკოლამდელი, ზოგადი, უმაღლესი და პროფესიული განათლების დონეზე და ენის სწავლების არაფორმალური თუ არაფორმალური სწავლის შესაძლებლობების გაუმჯობესება.
- პოლიტიკურ პროცესებში, საჯარო კონსულტაციებსა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების ჩართულობისა და წარმომადგენლობის უზრუნველყოფა, როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე.
- თანაბარი შესაძლებლობების ხელშეწყობა, ეთნიკურ და რელიგიურ ნიადაგზე არსებული დისკრიმინაციისა და უთანასწორო მოპყრობის აღმოფხვრა და ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დაცვა ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის.
- ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების საკითხების მეინსტრიმინგის ხელშეწყობა სექტორულ საჯარო პოლიტიკასა და კანონმდებლობაში, მათ შორის ჯანდაცვის, სოციალური დაცვის და საჯარო სერვისების მიმართულებით.
- უმცირესობების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება ჯანდაცვის, სოციალური დაცვის, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, მუნიციპალური სოციალური დაცვისა და საცხოვრებლით უზრუნველყოფის სერვისებზე.
- უმცირესობასა და უმრავლესობას შორის დიალოგის წახალისება, როგორც ადგილობრივ, ისე ცენტრალურ დონეზე საზოგადოებრივი ერთობის ხელშეწყობის მიზნით.
- მრავალფეროვნებისა და ინკლუზიის ადვოკატირება და ხელშეწყობა საგანმანათლებლო დაწესებულებებში, კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციებში, ინკლუზიური და ტოლერანტული საზოგადოების ჩამოყალიბების მიზნით.
- ინტერკულტურული დიალოგის მხარდაჭერა და კულტურული კავშირების გაფართოება უმცირესობასა და უმრავლესობას შორის, ქალებისა და ახალგაზრდების ჩართულობით.
- რელიგიური და ეთნიკური უმცირესობათა შესახებ, პოზიტიური მედია დისკურსის წახალისება და ამ მხრივ სიახლეების დანერგვა არსებული სტერეოტიპების და ანტი-დასავლური პროპაგანდის ზიანის შესამცირებლად.
- სხვა საკითხები, რომლებიც შესაბამისობაში მოდიან საგრანტო პროგრამის მიზანთან და მიმართულებებთან.

<u>საილუსტრაციო აქტივობები</u>

- *ადვოკატირება, საჯარო პოლიტიკის დიალოგები და კონსულტაციები ცენტრალურ და ადგილობრივ დონეებზე; შესაძლებლობების გაძლიერება და სწავლება; კვლევა, მონიტორინგი და შეფასება; პოლიტიკა და ინსტიტუციური მხარდაჭერა; სტრატეგიული სამართალწარმოება; საინფორმაციო კამპანიები და ცნობიერების ამაღლება; ინოვაციების დანერგვა და ცოდნის გაზრდა; უმცირესობათა ჯგუფების წევრების ჩართულობა და გაძლიერება; მედია პლატფორმების განახლება და შექმნა; პოლიტიკის, მონაწილეობისა და ადვოკატირების მხარდამჭერი სხვა აქტივობები.*

- **ლოტი 2 - ეკონომიკური ინტეგრაციის გრანტები რომლებიც ფოკუსირებულია შემდეგ თემებზე:**
  - ეთნიკურად და რელიგიურად მრავალფეროვან რეგიონებში, ფინანსური და ტექნიკური დახმარება მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის;
  - ღირებულებით ჯაჭვების ფორმირების და გაძლიერების ხელშეწყობა და ეროვნული ბაზრის კავშირების გაზრდა.
  - მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის (MSMEs) თანადაფინანსება, რომლებიც დაინტერესებულნი არიან „რეგიონალური გაფართოებით“და სურვილი აქვთ მათი ბიზნეს საქმიანობა გააფართოვონ უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში - ხელი შეუწყონ მიწოდების ჯაჭვების გაფართოებას, სავაჭრო ინფრასტრუქტურის განახლებას და ეთნიკური და რელიგიური უმცირესობებისთვის ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, განსაკუთრებით ახალგაზრდებისა და ქალებისთვის.
  - ეთნიკური უმცირესობების ცნობიერების ამაღლება და საკონსულტაციო დახმარება მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერ სახელმწიფო პროგრამებსა და სერვისებზე ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად (პროგრამები, რომლებიც ხორციელდება შემდეგი სახელმწიფო უწყებების მიერ: „აწარმოე საქართველოში“ ; „სოფლის განვითარების სააგენტო“, „GITA“).
  - რეგიონული სტარტაპერების მხარდაჭერა - პრე-აქსელერაციისა და აქსელერაციის პროგრამები, ბიზნეს ინკუბატორები, და სხვა.
  - ბიზნესის განვითარების უნარებისა და ფინანსური წიგნიერების გაუმჯობესების ხელშეწყობა რეგიონული მეწარმეებისთვის.
  - ცნობიერების ამაღლება და ეთნიკური უმცირესობების წახალისება პროფესიული განათლების სისტემაში ჩასართავად.
  - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდაჭერა ეთნიკური უმცირესობათა სტუდენტების საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით და პროფესიული განათლების სისტემაში მათი მონაწილეობის გაუმჯობესებისთვის ახალი მექანიზმების შემუშავება.

- უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ბიზნეს ასოციაციების დაარსების მხარდაჭერა, რაც სარგებელს მოუტანს როგორც ადგილობრივ ეკონომიკას, ასევე უმცირესობების წარმომადგენლებს.
- სამიზნე რეგიონებში ერთობლივი საკონსულტაციო პლატფორმების შექმნა პროფესიული განათლების დაწესებულებებსა და ბიზნესს ასოციაციებს შორის.
- პროფესიულ სასწავლებლებში ადგილობრივი შრომითი ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი მოკლე და გრძელვადიანი პროგრამების დანერგვის ხელშეწყობა.
- მენტორობა და კავშირების გაფართოვება - უმცირესობების წარმომადგენელ მეწარმეებსა და სხვა რეგიონის მეწარმეებს შორის გამოცდილების გაზიარების და ახალი ეკონომიკური და სავაჭრო კავშირების შექმნის ხელშეწყობისთვის.
- ეთნიკურ და სხვა რეგიონებს შორის კავშირებისა და სავაჭრო შესაძლებლობების ჩამოყალიბება და ღირებულებათა ჯაჭვების დაკავშირება.
- სხვა საკითხები, რომლებიც შესაბამისობაში მოდიან საგრანტო პროგრამის მიზანთან და მიმართულებებთან.

<u>საილუსტრაცი აქტივობები</u>

- *სტარტაპები და ადგილობრივი თანადაფინანსებები; კაპიტალისა და ბიზნეს ოპერაციების გაფართოება სამიზნე რეგიონებში; უმცირესობების ინფორმირებულობის ამაღლება და კონსულტაციების გაწევა ფინანსებზე ხელმისაწვდომობის და მეწარმეობის ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამებისა და სერვისების შესახებ; უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში სამეწარმეო ასოციაციების ჩამოყალიბება და გაფართოება; პროფესიული განათლება და გადამზადება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სამუშაოს მაძიებლებისათვის; მენტორინგი და კავშირების დამყარება.*

დაფინანსების შეფასება

ინტეგრაციის საგრანტო პროგრამის სრული ბიუჯეტი შეადგენს 4,000,000 აშშ დოლარს 2023-2026 წლებისთვის, ხოლო გრანტების გაცემა დასრულდება **2026 წლის 15 დეკემბრამდე.** ინდივიდუალური გრანტის განაცხადის წარდგენა შესაძლებელია **2,500 აშშ დოლარიდან, 120,000 აშშ დოლარამდე ბიუჯეტის ფარგლებში.** საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს გაეროს ასოციაცია უფლებას იტოვებს გადახედოს ბიუჯეტის დადგენილ ზედა ზღვარს. საქართველოს გაეროს ასოციაცია ინტეგრაციის საგრანტო შესაძლებლობების ფარგლებში განიხილავს დაახლოებით 75 გრანტის გაცემას (2023-2026 წლებისთვის).

საგრანტო განაცხადის კონცეფციის ან სრული განაცხადის წარდგენის დროისთვის[1], ინტეგრაციის საგრანტო შესაძლებლობების ფარგლებში მოთხოვნილი გრანტის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გრანტის მიმღები ორგანიზაციის ფინანსურ ბრუნვას, ბოლო კალენდარული წლის განმავლობაში, ეს მოთხოვნა არ ვრცელდება იმ საგრანტო განაცხადებზე, რომელთა ბიუჯეტიც არის 10, 000 აშშ დოლარი ან ნაკლები.

გრანტის დაფინანსების თანხები საგრანტო ხელშეკრულებებში დაფიქსირდება აშშ დოლარში. გაცემა კი მოხდება ადგილობრივ ვალუტაში - ლარში (GEL) საგრანტო ხელშეკრულებით დადგენილი განრიგის მიხედვით. წინასწარი გადახდები დაშვებული იქნება მაქსიმუმ სამთვიანი პერიოდისთვის.

ადგილობრივ არამომგებიან ორგანიზაციებს, რომლებსაც არასდროს მიუღიათ მოლაპარაკებული არაპირდაპირი ხარჯების განაკვეთი, მოდიფიცირებულ სრულ არაპირდაპირ ხარჯებზე შეიძლება დაემატოთ 10%-იანი de minimis არაპირდაპირი განაკვეთი.

საგრანტო ინსტრუმენტები

საგრანტო პროგრამის ფარგლებში გამოყენებული იქნება შემდეგი ტიპის საგრანტო ინსტრუმენტები: **ფიქსირებული ოდენობის გრანტი, საგრანტო ხელშეკრულება და თანადაფინანსებული გრანტები (კერძო მეწარმეებთან და ბიზნესთან).** გრანტის ტიპის შერჩევა დამოკიდებული იქნება სამ ძირითად ფაქტორზე: ა) პროექტის ხანგრძლივობა და ბიუჯეტი, ბ) პროექტის სტრუქტურა და მიზნები და გ) ორგანიზაციის შესაძლებლობა მართოს ფინანსები და უზრუნველყოს პროექტის შედეგების მიღწევა.

- ფიქსირებული ოდენობის გრანტი (FAA) გამოყენებული იქნება იმ შემთხვევაში, თუ:
  - პროექტის სტრუქტურა და აქტივობები იძლევა დეტალური დაგეგმვის საშუალებას (მიღწეული შედეგები ადვილად შესამჩნევია);
  - შესაძლებელია ხარჯების განსაზღვრისას მაღალი სიზუსტის უზრუნველყოფა;
  - პროექტის ხანგრძლივობა არის 12 თვეზე ნაკლები;
  - ბიუჯეტი არის 10 000 აშშ დოლარი ან ნაკლები, ყველა ამ პირობის არსებობის შემთხვევაში.
- სხვა შემთხვევებში გამოყენებული იქნება სტანდარტული საგრანტო ხელშეკრულებები და თანადაფინანსების საგრანტო ხელშეკრულება (კერძო სექტორის პარტნიორებთან ერთად).

[1] თუ განმცხადებელი ინტეგრაციის საგრანტო შესაძლებლობების ფარგლებში მოითხოვს 60 000 აშშ დოლარიან გრანტს, განმცხადებელ ორგანიზაციას ბოლო კალენდარული წლის განმავლობაში უნდა ჰქონდეს მინიმუმ 60, 000 აშშ დოლარიანი ბრუნვა.

ყველა საგრანტო დოკუმენტი (ხელშეკრულება) შედგენილი უნდა იყოს ინგლისურ ენაზე.

თანადაფინანსება

50%-იანი თანადაფინანსება მოითხოვება მხოლოდ კერძო სექტორის წარმომადგენლებთან თანადაფინანსების საგრანტო ხელშეკრულებების ფარგლებში. თანადაფინანსების სახით დაშვებულია ფულადი შენატანი, სესხი და თანადაფინანსების სხვა წყაროები (მათ შორის, „აწარმოე საქართველოში“, სოფლის განვითარების სააგენტო; საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს გრანტები და პროგრამები). ნატურის ტიპის შენატანები არ მიიღება თანადაფინანსებად.

ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების, ახალგაზრდების ან ქალების მფლობელობაში არსებული სტარტაპების ან ბიზნესის შემთხვევებში, საქართველოს გაეროს ასოციაცია უფლებას იტოვებს შეამციროს თანადაფინანსების მოთხოვნა, დასაშვებად ჩათვალოს ნატურის სახით შენატანები ან საერთოდ უარი თქვას ხარჯების თანადაფინანსებაზე.

თანადაფინანსება არ მოითხოვება და ნებაყოფლობითია საგრანტო პროგრამის ყველა სხვა გრანტის შემთხვევაში.

ქვეგრანტები

ინტეგრაციის საგრანტო პროგრამის ფარგლებში ქვეგრანტები არ დაიშვება, გარდა ორი ან მეტი ორგანიზაციის ერთობლივი შემოთავაზებისა, სადაც წამყვანი განმცხადებელი გასცემს ქვეგრანტს თანაგანმცხადებლზე. გრანტის გაცემამდე, საქართველოს გაეროს ასოციაცია შეაფასებს და გადაამოწმებს ყველა თანაგამცხადებლის შესაძლებლობებსა და პასუხისმგებლობას. წამყვანი განმცხადებელი უნდა იყოს საბოლოო პასუხისმგებელი გრანტის განხორციელებაზე, მიწოდებაზე, ანგარიშგებაზე, მონიტორინგსა და შეფასებაზე, ასევე ფინანსურ შესაბამისობაზე.

შესრულების ვადები

ინტეგრაციის საგრანტო პროგრამის ფარგლებში გაცემული გრანტის განხორციელების მაქსიმალური ხანგრძლივობა არის **18 თვე.** გრანტის მიმღებებს შეეძლებათ დაფინანსების გაგრძელებაზე განაცხადის შეტანა საჭიროების შემთხვევაში თუკი პროგრამის წარმატება აღნიშნულზე იქნება დამოკიდებული. უფლებამოსილება არ წარმოადგენს დაფინანსების გაგრძელების გარანტიას.

პროექტის აქტივობების დაწყება ნებადართულია მხოლოდ მას შემდეგ, რაც განმცხადებელი და საქართველოს გაეროს ასოციაცია ხელს მოაწერენ ხელშეკრულებას. საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებამდე გაწეული ხარჯები არ ანაზღაურდება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ამას საქართველოს გაეროს ასოციაცია წინასწარ და წერილობით არ დაადასტურებს.

ყველა გრანტის გაცემა უნდა დასრულდეს 2026 წლის 15 დეკემბრამდე.

შესრულების ადგილი

მიუხედავად იმისა, რომ საგრანტო პროექტების განხორციელების ადგილად მოაზრებულია ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთის, კახეთისა (პანკისის ხეობა) და მთიანი აჭარის რეგიონი, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური კავშირების გაფართოების მიზნით პროექტების მნიშვნელოვანი ასპექტები, შესაძლოა, ითვალისწინებდეს მთელი ქვეყნის მასშტაბით საქმიანობასაც.

პოტენციურ განმცხადებლებს ვურჩევთ ფოკუსირდნენ ძირითადი გრანტის პრიორიტეტულ გეოგრაფიულ არეალზე, როგორც ეს მითითებულია განაცხადის მოთხოვნის ფორმაში.

შესაბამისობა

პროგრამაში მონაწილეობა შეუძლიათ სამოქალაქო არასამთავრობო ორგანიზაციებს (საერთაშორისო, ეროვნული და რეგიონული), მიკრო, მცირე, საშუალო და მსხვილ მეწარმეებს, ფინანსურ ინსტიტუტებს, ბიზნესს ასოციაციებს, საგანმანათლებლო ორგანიზაციებს, კერძო და საჯარო ინსტიტუტებს.

ორგანიზაციები უნდა იყვნენ ადგილობრივი უფლებამოსილი ორგანოების მიერ რეგისტრირებულნი და ჰქონდეთ დაფინანსების მიღების უფლება.

კონკრეტულად კი, USAID-ის პროგრამა „ერთიანობა მრავალფეროვნებაშია“ მიიღებს განაცხადებს შემდეგი ტიპის სუბიექტებისგან:

- არასამთავრობო ორგანიზაციები, სამოქალაქო საზოგადოებრივი პლატფორმები და არაფორმალური მოძრაობები;
- სათემო და სახალხო ორგანიზაციები;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები და სხვა საგანმანათლებლო ინსტიტუციები;
- სტარტაპები, სოციალური საწარმოები, მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეები;
- ფინანსური ინსტიტუტები და სხვა მსხვილი ბიზნესები;
- მედია საშუალებები, საკომუნიკაციო სააგენტოები;

- ბიზნესს ასოციაციები.

განმცხადებელს უნდა ჰქონდეს ჩამოყალიბებული ფინანსური მართვის, მონიტორინგისა და შეფასების სისტემა, შიდა კონტროლის სისტემა და შესაბამისი პოლიტიკა და პროცედურები. სტარტაპებისა და ახლად ჩამოყალიბებული ორგანიზაციების შემთხვევაში, რომელთა მონაწილეობაც წახალისებულია, საქართველოს გაეროს ასოციაციამ შეიძლება უზრუნველყოს მხარდაჭერა შესაძლებლობების გაძლიერებისა და ქოუჩინგის კუთხით.

გარდა ამისა, საქართველოს გაეროს ასოციაცია იტოვებს უფლებას გრანტის გაცემამდე საჭიროების შემთხვევაში ჩაატაროს დამატებითი მოკვლევა, რათა უფრო სიღრმისეულად შეაფასოს და განსაზღვროს გრანტის პოტენციური მიმღების ორგანიზაციული სტრუქტურა, გამოცდილება, საბუღალტრო და ოპერაციული კონტროლის სისტემა და ტექნიკური უნარები - ან მათი შეძენის შესაძლებლობა - პროგრამის ფარგლებში დასახული მიზნების მისაღწევად და გრანტის პირობების დასაკმაყოფილებლად.

ორგანიზაციები და აქტივობები, რომლებიც არ არის დაშვებული

დაფინანსება არ გაიცემა შემდეგი ტიპის ორგანიზაციებზე:

- ნებისმიერ სუბიექტზე, რომელიც მხილებულია წარსულში საგრანტო დაფინანსების არამიზნობრივ გამოყენებაში;
- პოლიტიკულ პარტიებზე, მათ შორის მათ დაქვემდებარებაში მყოფ სუბიექტებზე;
- ორგანიზაციებზე, რომლებიც ადვოკატირებას უწევენ ან მხარს უჭერენ ანტიდემოკრატიულ პოლიტიკას ან არალეგალურ საქმიანობას;
- ნებისმიერ სუბიექტზე, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში აკრძალულ პირებთან ან სუბიექტებთან დაკავშირებით ფიგურირებს;
- ნებისმიერ სუბიექტზე, რომელიც შეყვანილია აშშ-ის სახაზინო დეპარტამენტის უცხოური აქტივების კონტროლის ოფისის გრანტის მართვის სისტემაში, Specially Designated Nationals (SDN)-ის სიაში და დაბლოკილი ადამიანების სიაში, რომელსაც ასევე ეწოდება “OFAC-ის სია” და ასევე გაეროს უსაფრთხოების სამსახურის მიერ სანქცირებულ პირთა სიაში, და
- ორგანიზაციაზე, რომელიც უარს ამბობს ხელი მოაწეროს ყველა საჭირო სერტიფიკატსა და გარანტიას.

ინტეგრაციის საგრანტო პროგრამის ფარგლებში, ყველა ხარჯი უნდა იყოს გონივრული და დასაშვები. ინტეგრაციის საგრანტო შესაძლებლობების ფარგლებში გაცემული ხარჯები არ შეიძლება გამოყენებული იქნას შემდეგი დანიშნულებით:

- პირადი ღონისძიებების, წვეულებების, ზეიმების ან „წარმომადგენლობის“ ხარჯების დასაფარად;
- შეზღუდვებს დაქვემდებარებული საქონლის შესაძენად, როგორიცაა გარკვეული სასოფლო-სამეურნეო საქონელი, საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებები (მათ შორის მოტოციკლები), ფარმაცევტული და კონტრაცეპტული საშუალებები, პესტიციდები, გამოყენებული აღჭურვილობა, აშშ-ს მთავრობის მფლობელობაში არსებული ქონება, პროდუქცია და სასუქები USAID-ის ნებართვის გარეშე;
- USAID-ის რეგულაციებით აკრძალული საქონლის შესაძენად, როგორიცაა სამხედრო და სათვალთვალო აღჭურვილობა, პოლიციის ან სამართალდამცავების აღჭურვილობა, აბორტის გასაკეთებელი აღჭურვილობა ან მომსახურებები, ამინდის მოდიფიცირების ფუნქციების მქონე აღჭურვილობა, ფუფუნების საგნები და აზარტულ თამაშებთან დაკავშირებული ნივთები;
- USAID -ის მოქმედი რეგულაციებით შეზღუდული ან აკრძალული ნივთების ან მომსახურებების შესაძენად (შესაბამისი რეგულაციები მოწოდებული იქნება საქართველოს გაეროს ასოციაციის მიერ);
- ნებისმიერი შესყიდვა ან აქტივობა, რომელიც საქართველოს გაეროს ასოციაციის მიერ ჩაითვლება არასაჭიროდ, გრანტის მიზნების მიღწევის კუთხით, მათ შორის გრანტის მიმღების სათაო ოფისთან დაკავშირებული ხარჯები, რომლებიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული შეთავაზებული პროგრამის განხორციელებასთან;
- ადრინდელი ვალდებულებების და/ან ძველი ვალდების დასაფარად;
- ჯარიმების გადასახდელად;
- საქველმოქმედო ფონდების შესაქმნელად;
- USAID-ის და/ან ფედერალური რეგულაციებით აკრძალული სხვა ხარჯების დასაფარად, მაგ. როგორიცაა ალკოჰოლური სასმელები;
- არაპირდაპირი ხარჯების დასაფარად, როგორიცაა ზედნადები ან არაპირდაპირი ხარჯები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განმცხადებელს აქვს ამგვარი ხარჯების დამადასტურებელი საბუთი აუდიტის ან NICRA-ს მეშვეობით.

იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის განხორციელებისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია, პოტენციურ განმცხადებელს/გრანტის მიმღებს შეუძლია მოითხოვოს უფლებაზე უარის თქმის დოკუმენტი და საქართველოს გაეროს ასოციაციის წერილობითი ნებართვა შემდეგი საშუალებების შესაძენად:

- სასოფლო-სამეურნეო საშუალებები, ავტომობილი, ფარმაცევტული საქონელი, პესტიციდები, გამოყენებული აღჭურვილობა და სასუქები.

შეფასების კრიტერიუმები

გრანტების შესარჩევი გუნდი/კომისია გაუძღვება განაცხადების შეფასების ორეტაპიან პროცესს. განხილვის პირველ ეტაპზე კომისიის მიერ შეფასდება საპროექტო განაცხადის დასაშვებობა, შესაბამისობა და განმცხადებლის უნარი განახორციელოს შემოთავაზებული პროექტი. თუ განაცხადი აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს, განმცხადებელს უკვე მეორე ეტაპზე ეთხოვება სრული აპლიკაციის ფორმის წარდგენა (დანართი 1.2).

განაცხადების შეფასება მოხდება მონაცვლეობით (rolling basis). კომისია უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში დამატებითი დეტალების მოწოდების მოთხოვნით მიმართოს გამცხადებელს, თუკი ჩათვლის რომ, განაცხადში არასრულყოფილად არის ინფორმაცია წარმოდგენილი.

საჭიროების შემთხვევებში, შესაძლებელია განმცხადებელს ეთხოვოს პრეზენტაციის გაკეთება კომისიისთვის, საპროექტო განაცხადის მიზნების უფრო ცხადად ჩამოყალიბების და შესაძლო კითხვებზე პასუხის დაზუსტების მიზნით.

შესარჩევი კომისია იტოვებს უფლებას საპროექტო განაცხადების დაფინანსება დააკმაყოფილოს გარკვეული პირობებით ან გასცეს რეკომენდაციები პროექტის როგორც შინაარსობრივ, ისე ფინანსურ ასპექტთან დაკავშირებით.

ორივე ეტაპზე, ყველა განაცხადი შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

საპროექტო მიდგომის მიზანშეწონილობა და შესაბამისობა დაფინანსების პრიორიტეტებთან - 25 ქულა	განაცხადში ნათლად არის წარმოდგენილი საპროექტო იდეა და განხორციელების მეთოდოლოგია. მარტივად აღსაქმელია, რომ განმცხადებელს კარგად აქვს გააზრებული, თუ რა არის საჭირო შემოთავაზებული იდეის განსახორციელებლად.
სამიზნე მოსახლეობაზე მდგრადი ზემოქმედების შექმნის პოტენციალი - 25 ქულა	საპროექტო იდეას აქვს პოტენციალი გავლენა მოახდინოს სამიზნე ჯგუფის (ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები) საჭიროებებსა და გამოწვევებზე, სამოქალაქო/ეკონომიკური ინტეგრაციის კუთხით.
წარსული გამოცდილება და ორგანიზაციული შესაძლებლობები - 20 ქულა	განაცხადი მოიცავს დეტალურ ინფორმაციას განმცხადებლის ტექნიკური რესურსებისა და ექსპერტიზის შესახებ. დეტალურად არის აღწერილი ორგანიზაციული რესურსები და შესაძლებლობები შეასრულოს აქტივობები, აწარმოოს განხორციელების მონიტორინგი და შეფასება და

	პასუხისმგებლიანად აითვისოს ფინანსური რესურსები.
უპირატესობა პრიორიტეტული სამიზნე ჯგუფებისათვის - 20 ქულა	პროექტს აქვს პოტენციალი უზრუნველყოს მდგრადი ზემოქმედება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ახალგაზრდებზე, ქალებზე, შშმ პირებზე ან სხვა მოწყვლად ჯგუფებზე.
ბიუჯეტი გონივრული და ნათლად განსაზღვრულია – 5 ქულა	ბიუჯეტი არის გონივრული და რეალისტური აქტივობის განსახორციელებლად.
შემოთავაზებული იდეის მდგრადობა - 5 ქულა	დასაბუთებულია პროექტით მიღწეული მიზნების მდგრადობა და განმცხადებლის შესაძლებლობების გაუმჯობესების პოტენციალი პროექტის მეშვეობით.

განაცხადმა უნდა მიიღოს დადგენილი მინიმალური ქულა - 70, იმისათვის რომ გადავიდეს შერჩევის მეორე ეტაპზე. პირველ ეტაპზე შერჩეულ განმცხადებლებს 3 კვირის ვადა მიეცემათ სრული განაცხადისა და ბიუჯეტის წარსადგენად (დანართი 1.2; დანართი 1.2.1).

განაცხადის წარდგენის მოთხოვნები

განაცხადების მიღება და განხილვა მოხდება მონაცვლეობით (rolling basis). პოტენციურ განმცხადებლებს ვთხოვთ განაცხადი წარადგინონ ორ ეტაპად, შემდეგი სახით:

- კონცეფცია (მაქსიმუმ 5 გვერდი დანართების გარეშე)
- სრული განაცხადი (მაქსიმუმ 15 გვერდი დანართების გარეშე)

იმ განმცხადებლებს, რომლებიც კონცეფციას წარმოადგენენ 10, 000 აშშ დოლარი ან ნაკლები ბიუჯეტით, შესაძლოა აღარ დასჭირდეთ სრული შემოთავაზების წარდგენა. განმცხადებლებს ასევე შეუძლიათ 10, 000 აშშ დოლარის ან ნაკლები ბიუჯეტის მქონე პროექტებისათვის **განაცხადები ქართულ ენაზე გამოაგზავნონ.**

სრული განაცხადის წარდგენა მოეთხვებათ მხოლოდ შერჩეული კონცეფციის ავტორებს. განმცხადებლისგან სრული შემოთავაზების მოთხოვნა არ ნიშნავს დაფინანსების გარანტიას. **ყველა პროექტი, რომლის ბიუჯეტიც 10, 000 აშშ დოლარზე მეტია წარდგენილი უნდა იყოს ინგლისურ ენაზე.**

საპროექტო კონცეფცია:

თუკი განმცხადებელს არ სურს თანდართული (დანართი 1.1) კონცეფციის გამოყენება, მას უფლება აქვს გამოიყენოს საკუთარი ფორმატი კონცეფციისთვის, მაგრამ დოკუმენტში აუცილებლად უნდა იყოს წარმოდგენილი:

- **თავფურცელი:** მითითებული უნდა იყოს განმცხადებლისა და თანა-განმცხადებლების სახელი, პროექტის სახელწოდება, (ნებაყოფლობითია), პროექტის განხორციელების ვადები, მოთხოვნილი ბიუჯეტი და საკონტატო ინფორმაცია. თავფურცელი არ ითვლება გვერდების რაოდენობაში.
- **შეჯამების გვერდი:** შემოთავაზებული პროექტის ზოგადი შეჯამება.
- **პრობლემის იდენტიფიკაცია:** რა არის ის კონკრეტული პრობლემა, რის გადაჭრასაც ცდილობთ?
- **მიზნები და ამოცანები:** პროექტის მთავარი მიზანი და კონკრეტული ამოცანები.
- **შემოთავაზებული აქტივობა:** კონკრეტულად რა აქტივობების განხორციელებას გეგმავთ?
- **სამიზნე ჯგუფი:** ვინ შედის პროექტის სამიზნე ჯგუფებში/ვინ არიან პროექტის ბენეფიციარები?
- **გავლენა:** რა კონკრეტული ცვლილებების მოხდენა შეუძლია პროგრამას სამიზნე ჯგუფებთან მიმართებით?
- **შესაძლებლობა:** რა შესაძლებლობები გაქვთ შემოთავაზებული აქტივობების წარმატებით შესასრულებლად?
- **ინკლუზია:** როგორია პროექტის მიდგომა ქალებისა და ახალგაზრდების ინკლუზიის კუთხით?
- **ვადები:** შემოთავაზებული აქტივობების შესრულების ვადები
- **მოსალოდნელი შედეგები:** დაფინანსების შემთხვევაში, რა შედეგების მიღწევას იმედოვნებთ?
- **ბიუჯეტი და ბიუჯეტის შენიშვნები:** MS Excel ფორმატში (დანართი 1.2.1) დოკუმენტს თან ერთვის ბიუჯეტის ფორმა.

კონცეფციის დოკუმენტი უნდა იყოს მაქსიმუმ 5 გვერდი (A4 ზომის, შრიფტის ზომა 11, 2 სმ საზღვრები), რომელშიც არ შედის თავფურცელი, ბიუჯეტი და მოთხოვნილი დანართები. კონცეფცია აუცილებლად უნდა იყოს PDF ფორმატში. კონცეფცია უნდა გაიგზავნოს შემდეგ ელ.ფოსტაზე: una@una.ge. **სხვა ფორმატში (MS Word, სხვა) წარდგენილი განაცხადები არ მიიღება.**

ქვემოთ წარმოდგენილია დანართების ჩამონათვალი, რომელიც წარმოდგენილი უნდა იქნას კონცეფციასთან ერთად:

- ბოლო 3 წლის ორგანიზაციული აუდიტის ანგარიშები (ასეთი აუდიტის ჩატარების შემთხვევაში)
- ორგანიზაციული ორგანოგრამა
- რეგისტრაციის მოწმობის ასლი (საჯარო რეესტრიდან www.napr.gov.ge)
- 2 სარეკომენდაციო წერილი დონორების/პარტნიორებისგან
- ორგანიზაციის წესდება (ადამიანური რესურსები, ფინანსური მართვა, შესყიდვები და სხვა შიდა კონტროლის რეგულაციები. დაიშვება როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე წარმოდგენილი დოკუმენტები)
- ინფორმაცია წარსული გამოცდილების შესახებ: განმცხადებლის მიერ განხორციელებული პროექტები (ბიუჯეტის მითითებით), მისია, დონორი და პარტნიორი ორგანიზაციები, სამიზნე ჯგუფები და მთავარი მიღწევები **(მაქსიმუმ 5 გვერდი ბოლო სამი კალენდარული წლის გამოცდილებიდან, ასეთის არსებობის შემთხვევაში)**
- სხვა დოკუმენტები, რომლებსაც განმცხადებელი საჭიროდ ჩათვლის, რაც დაადასტურებს, რომ ორგანიზაციას აქვს საგრანტო სახსრების მართვის შესაძლებლობა (ბროშურები, სტატიები ან სხვა სადემონსტრაციო მასალები). **დამატებითი დანართები არ უნდა აღემატებოდეს 5 გვერდს.**

- **განაცხადის კონცეფციის ფორმა დანართის სახითაა წარმოდგენილი (დანართი 1.1).**

<u>სრული საპროექტო განაცხადი.</u>

თუკი გამცხადებელს არ სურს თანდართული (დანართი 1.2) სრული საპროექტო განაცხადის ფორმის გამოყენება, მას შეუძლია გამოიყენოს საკუთარი ფორმატი, მაგრამ შემოთავაზების ფორმა უნდა იყოს მაქსიმუმ 15 გვერდი და მასში დეტალურად უნდა იყოს წარმოდგენილი შემდეგი:

- **თავფურცელი (1 გვერდი):** აუცილებლად უნდა იყოს მითითებული განმცხადებლისა და თანაგანმცხადებლების სახელი და **უნიკალური საიდენტიფიკაციო კოდი,** პროექტის სახელწოდება, აღწერილობითი სათაური (ნებაყოფლობითია), პროექტის განხორციელების ვადები, მოთხოვნილი ბიუჯეტი და საკონტაქტო ინფორმაცია. თავფურცელი <u>არ ჩაითვლება</u> გვერდების რაოდენობაში.
- **შემაჯამებელი მიმოხილვა (2 გვერდი):** შემოთავაზებული პროექტის ზოგადი მიმოხილვა. შემაჯამებელი მიმოხილვა <u>არ ჩაითვლება</u> გვერდების რაოდენობაში.
- **პროექტის ბექგრაუნდი (4 გვერდი):**

- **პროგრამის აღწერა:** წარმოადგინეთ პროგრამის მოკლე აღწერა, რომელშიც მითითებული უნდა იყოს პრობლემა ან შესაძლებლობა, რომელსაც ის ეხება, გამოყენებული მეთოდები და მოსალოდნელი შედეგები.
- **ამოცანები:** ჩამოაყალიბეთ პროგრამის კონკრეტული მიზნები და ამოცანები. რის მიღწევას იმედოვნებთ ამ პროგრამის მეშვეობით?
- **მასშტაბი:** აღწერეთ პროგრამის მასშტაბი, მათ შორის სამიზნე აუდიოტორია ან სამიზნე ჯგუფი და გეოგრაფიული ლოკაცია.
- **მეთოდოლოგია:** მოკლედ აღწერეთ ის მეთოდები და ტექნიკები, რომლებიც გამოყენებული იქნება პროგრამის მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად.
- **დელივერებლები:** განსაზღვრეთ ის ძირითადი დელივერებლები, რომლებიც შემუშავებული იქნება პროგრამის ფარგლებში.
- **ვადები:** წარმოადგინეთ პროექტის შესრულების ვადები, მათ შორის მნიშვნელოვანი ეტაპები და საბოლოო ვადები.

- **ტექნიკური მიდგომა (7 გვერდი):**
  - **აქტივობები:** აღწერეთ კონკრეტული აქტივობები, რომლის განხორციელებასაც პროექტის ფარგლებში დასახული მიზნების მისაღწევად გეგმავთ.
  - **მოსალოდნელი შედეგები:** აღწერეთ კონკრეტული შედეგები, რომელთა მიღწევაც პროექტის ფარგლებში არის დაგეგმილი. წარმოაჩინეთ რა შედეგების მომტანი იქნება პროექტი სამიზნე ჯგუფებისთვის.
  - **პროექტის მართვა:** აღწერეთ, თუ როგორ მოხდება პროექტის მართვა და ვინ იქნება პასუხისმგებელი პროექტის სხვადასხვა ასპექტებზე.
  - **დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა:** აღწერეთ, თუ როგორ იქნებიან დაინტერესებული მხარეები ჩართულები პროექტის მიმდინარეობისას.
  - **ქალებისა და ახალგაზრდების ინკლუზია:** აღწერეთ კონკრეტული მიდგომები ან აქტივობები, რომლებიც მიმარულია ქალებისა და ახალგაზრდებისაკენ.
  - **მონიტორინგი და შეფასება:** აღწერეთ კონკრეტული მიდგომები/ინსტრუმენტები პროგრამის მონიტორინგისა და შეფებისათვის, ასევე, მონაცემთა ანალიზისათვის.
  - **მდგრადობა:** აღწერეთ კონკრეტული ნაბიჯები, რომლებიც უზრუნველყოფს პროექტის შედეგების მდგრადობას პროგრამის დასრულების შემდეგაც. როგორ მოხდება პროექტის გაგრძელება ან გაძლიერება, თუ ის წარმატებული გამოდგა?
  - **კომუნიკაცია და ინფორმაციის გავრცელება:** აღწერეთ როგორ მოხდება პროექტის მიგნებებისა და შედეგების გაცნობა დაინტერესებული მხარეებისა და ფართო საზოგადოებისათვის. რა არხები და ფორმატები

იქნება გამოყენებული პროექტის შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად?

- **ორგანიზაციული შესაძლებლობები და ძირითადი გუნდი (4 გვერდი):**
  - ორგანიზაციის მოკლე ისტორია, მათ შორის დაარსების თარიღი და მნიშვნელოვანი მიღწევები
  - ორგანიზაციის მისიისა და მიზნების მოკლე მიმოხილვა
  - ორგანიზაციის პროგრამებისა და მომსახურებების მოკლე მიმოხილვა
  - ორგანიზაციის მართვის სტრუქტურისა და ლიდერთა გუნდის მოკლე მიმოხილვა
  - მოკლე მიმოხილვა, სადაც წარმოჩენილი იქნება ორგანიზაციის შესაძლებლობები განახორციელოს მსგავსი დონის საგრანტო პროგრამა
  - მოკლე ინფორმაცია ორგანიზაციის ძირითადი პერსონალის შესახებ (შესაძლებელია 2-3 რეზიუმეს წარდგენაც განაცხადთან ერთად).
- **ბიუჯეტი:**
  - დეტალური ბიუჯეტი – წარმოდგენილი უნდა იყოს Excel-ის ფაილში, სადაც ყველა უჯრა და ფორმულა განბლოკილია. განმცხადებელს შეუძლია ბიუჯეტისათვის საკუთარი ფორმატის გამოყენება, თუმცა, შეუძლიათ იხელმძღვანელონ თანდართული შაბლონით (დანართი 1.2.1).
  - ბიუჯეტის აღწერილობა - აუცილებელია ბიუჯეტის თითოეული ასპექტის დეტალურად აღწერა. საბიუჯეტო შენიშვნები წარმოდგენილი უნდა იქნას ცალკე დოკუმენტის სახით და მასში აღწერილი უნდა იყოს ყველა შეფასებული ხარჯის ლოგიკური ახსნა და დანიშნულება.

ყველა საგრანტო განაცხადი (კონცეფცია და/ან სრული განაცხადი შესაბამისი დანართებით) უნდა გაიგზავნოს ელექტრონულად, შემდეგ ელ.ფოსტაზე una@una.ge (სათაურის ველში აუცილებლად უნდა მიეთითოს "Georgia Integration Grants Facility: ლოტი # და ლოტის სახელწოდება"). ელექტრონულად გაგზავნილი დოკუმენტების მაქსიმალური ზომაა 25მბ.

შესაძლებლობების გაძლიერება

საქართველოს გაეროს ასოციაციის სურვილია ხელი შეუწყოს გრანტის პოტენციურ მიმღებებს შესაძლებლობების გაძლიერებაში. ამ მიზნის მისაღწევად, საქართველოს გაეროს ასოციაცია სულ მცირე წელიწადში ორჯერ გამართავს სემინარებსა და ვორქშოპებს შემდეგ საკითხებზე: საგრანტო წინადადების მომზადება, ფინანსური მართვა, შიდა კონტროლი, გრანტის მართვა, მონიტორინგი და შეფასება და სხვა. **ინფორმაცია აღნიშნული ღონისძიებების თარიღებისა და დღის წესრიგის შესახებ გამოქვეყნდება საქართველოს გაეროს ასოციაციის ვებგვერდზე (www.una.ge) და უფასოდ იქნება ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული მხარისათვის.**

ამასთან ერთად, საქართველოს გაეროს ასოციაცია პროგრამის პარტნიორებთან ერთად შერჩეულ აპლიკანტებს, რომლებსაც სრული განაცხადის წარდგენა მოეთხოვებათ, შესთავაზებენ ქოუჩინგის სახის მხარდაჭერასაც. ქოუჩინგი შეიძლება მოიცავდეს სრული საპროექტო განაცხადის ტექნიკურ ჩამოყალიბების, ბიზნეს გეგმის შემუშავების, ბიზნესებისთვის საჯარო და კერძო წყაროებიდან თანადაფინანსების მოპოვების შესახებ ინფორმაციულ მხარდაჭერას და სხვა დახმარებას.

საქართველოს გაეროს ასოციაცია წელიწადში ორჯერ დაგეგმავს აღნიშნულ სესიებს.

ერთობლივი განაცხადები

განმცხადებელს შეუძლია ითანამშრომლოს სხვა სუბიექტებთან (საჯარო ან კერძო) და წარმოადგინოს ერთობლივი განაცხადი. თანაგანმცხადებელი უნდა აკმაყოფილებდეს წამყვანი განმცხადებლისათვის დაწესებულ შესაბამისობის კრიტერიუმებს.

ერთობლივი განაცხადის გაკეთების შემთხვევაში, აპლიკანტებს უფლება აქვთ გააერთიანონ მათი ორგანიზაციების ფინანსური ბრუნვები (ბოლო კალენდარული წლის) და მოითხოვონ უფრო მაღალი მაქსიმალური ზღვარი საგრანტო დაფინანსებისათვის, ვიდრე ამას ცალ-ცალკე შეძლებდნენ.

<u>წამყვან განმცხადებელს ერთჯერადად მხოლოდ ერთი აპლიკაციის წარდგენა შეუძლია და მისი განაცხადის განხილვის პროცესში ის სხვა განმცხადებლის თანაგანმცხადებელი ვეღარ იქნება.</u>

სუბიექტის უნიკალური იდენტიფიკატორი

ყველა პოტენციურ განმცხადებელს მოეთხოვება <u>სრულ განაცხადთან ერთად (მეორე ეტაპზე) სუბიექტის უნიკალური იდენტიფიკატორის</u> წარდგენა. რეგისტრაციის პროცესის დასრულებას შეიძლება რამდენიმე კვირა დასჭირდეს. შესაბამისად, განმცხადებლებს მოვუწოდებთ ადრეულ ეტაპზე დაიწყონ რეგისტრაციის პროცესი. (ან რეგისტრირებული სუბიექტის განახლების პროცესი).

გრანტის ვადები

გრანტების შესარჩევი კომისია გადახედავს და შეაფასებს საპროექტო წინადადებებს (კონცეფცია და სრული განაცხადი) მონაცვლეობით (rolling basis) ზემოთ გაწერილი შეფასების კრიტერიუმების მიხედვით. სანამ განაცხადები გრანტების შესარჩევ კომისიას გადაეცემა შესაფასებლად, ჯერ მათ საქართველოს გაეროს ასოციაცია შეამოწმებს რათა დარწმუნდეს, რომ წარდგენილი შეთავაზებები აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს.

- **კონცეფცია (დაახლოებით 4 კვირა):** საქართველოს გაეროს ასოციაცია შეამოწმებს და იმ განაცხადებს, რომლებიც აკმაყოფილებენ მინიმალურ მოთხოვნებს, შემდგომი შეფასების მიზნით გადასცემს გრანტების შესარჩევ კომისიას, განაცხადის მიღებიდან ორი კვირის ვადაში. გრანტების შესარჩევი გუნდი დაახლოებით 2 კვირის ვადაში შეაფასებს განაცხადებს და გასცემს თავის რეკომენდაციას დაფინანსების თაობაზე. 10,000 აშშ დოლარის ან ნაკლები ბიუჯეტის მქონე საპროექტო შემოთავაზებები შესაძლოა წარდგენიდან 4 კვირის ვადაში შეფასდეს, დამუშავდეს და დამტკიცდეს დასაფინანსებლად.
- **სრული განაცხადი (დაახლოებით 4 კვირა):** თუ გრანტების შესარჩევი კომისია კონცეფციის შემოწმების შემდეგ გასცემს სრული განაცხადის წარდგენის რეკომენდაციას, საქართველოს გაეროს ასოციაცია დაუკავშირდება პოტენციურ პარტნიორს და მოელაპარაკება სრული განაცხადის წარდგენის ვადებზე (ძირითად შემთხვევებში ეს არის 4 კვირიანი ვადა; საქართველოს გაეროს ასოციაცია დაუშვებს უფრო ხანგრძლივ ვადებს კერძო სექტორის წარმომადგენელი სუბიექტებისათვის, რათა მათ შეძლონ თანადაფინანსების მოპოვება საჯარო და კერძო წყაროებიდან). <u>სრული განაცხადის მოთხოვნა არ ნიშნავს გრანტის მოპოვებას და ნებისმიერ რისკს განმცხადებელი იღებს თავის თავზე.</u>
- **დაფინანსების საბოლოო გადაწყვეტილება (დაახლოებით 2 კვირა): Final award decision (estimated 2 weeks):** გრანტის გასაცემად, საქართველოს გაეროს ასოციაციამ უნდა დაადასტუროს, რომ განმცხადებელი არის „პასუხისმგებელი“. პოზიტიური გადაწყვეტილების დადასტურება ნიშნავს, რომ აპლიკანტს უკვე აქვს ან შეუძლია შეიძინოს მართვის და ტექნიკური კომპეტენცია, რათა დაგეგმოს და განახორციელოს დაფინანსებული პროექტი და რომ აპლიკანტი გამოიყენებს ორმხრივად შეთანხმებულ ანგარიშვალდებულების მეთოდებს ფინანსებთან და სხვა აქტივებთან მიმართებით. საქართველოს გაეროს ასოციაცია გრანტის გაცემის წინა შეფასებისათვის გამოიყენებს ორი კალენდარული კვირის ვადას, იმ შემთხვევებში, სადაც მსგავსი შეფასება საჭიროდ ჩაითვლება.

გენდერული და სოციალური ინკლუზია

ეთნიკური უმცირესობების, განსაკუთრებით კი ქალების, შშმ პირების, სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისა და ახლგაზრდების ინტეგრაციას სხვადასხვა მნიშვნელოვანი გამოწვევები ართულებს, მათ შორისაა შეზღუდული შესაძლებლობები და სოციალურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებული სხვადასხვა ბარიერები. ამ ბარიერების გადასალახად და ეთნიკური უმცირესობებისათვის (განსაკუთრებით, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალების, შშმ პირების და ახალგაზრდებისათვის) საჯარო სერვისების, მაღალი ღირებულების ეკონომიკური და სამეწარმეო შესაძლებლობების ხელმისაწვდომობის გაზრდის და მათი თანასწორი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, გრანტის პოტენციურმა მიმღებმა უნდა გაითვალისწინოს, თუ როგორ შეძლებს მის მიერ შემოთავაზებული აქტივობები ხსენებული საკითხების გადაჭრას და მოწყვლადი და დაუცველი ჯგუფების ჩართულობის ხელშეწყობას. საგრანტო განაცხადში, აპლიკანტმა უნდა გაითვალისწინოს თანასწორი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ეთნიკური უმცირესობების ან სხვა დაუცველი ჯგუფების ხელშეწყობის გზით, რათა მათ შეძლონ ენობრივი, ფინანსური, სოციალური ან სხვა მსგავსი გამოწვევების დაძლევა. განმცხადებელმა საგრანტო ბიუჯეტში უნდა გაითვალისწინოს გენდერულ და სოციალურ ინკლუზიასთან დაკავშირებული ყველა შესაძლო ხარჯი.

არსებითი ჩართულობა

საქართველოს გაეროს ასოციაცია არსებითად იქნება ჩართული საგრანტო შესაძლებლობების ფარგლებში დაფინანსებული ყველა პროექტის განხორციელებაში. არსებითი ჩართულობა მოიცავს შემდეგს და არა მხოლოდ:

- გრანტის მიმღების სამუშაო გეგმების, მონიტორინგისა და შეფასების გეგმის გადახედვა და დამტკიცება.
- პროგრამული მონიტორინგი, რადგან სწრაფად მოხდეს პროგრამული ადაპტირება თუკი იკვეთება პრიორიტეტების და გეგმების ცვლილებების აუცილებლობა.
- აქტივობის დაუყოვნებლი შეწყვეტის უფლება, თუ გრანტის მიმღები ვერ აღწევს მონიტორინგის, შეფასებისა და სასწავლო გეგმით გაწერილ მაჩვენებლებს ან/და არ ასრულებს საგრანტო ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს.

ანგარიშგების და მონიტორინგის განრიგი დამოკიდებული იქნება გრანტის ტიპსა და პროექტის ხანგრძლივობაზე. გრანტის მიმღებებს გადაეცემათ შესაბამისი ანგარიშის ფორმები. ანგარიშის ტიპები შეიძლება იყოს შემდეგი:

- კვარტალური ანგარიში, რომელშიც აღწერილია პროექტის აქტივობები და მიმდინარეობა, პროექტის განხორციელებისას წარმოქმნილი პრობლემები; მათ გადასაჭრელად მიღებული ზომები და პროექტის შემდგომი ეტაპის განხორციელების გეგმა.
- პროგრამის საბოლოო ანგარიში, რომელშიც აღწერიალია როგორ მიაღწია პროექტმა დასახულ მიზნებსა და ამოცანებს, როგორია პროექტის შედეგები, განხორციელების დროს წარმოქმნილი პრობლემები და მათი გადაჭრის გზები.
- ფინანსური ანგარიშების წარდგენა საქართველოს გაეროს ასოციაციისათვის უნდა მოხდეს საგრანტო ხელშეკრულებაში მითითებული ვადების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშის ტიპი დამოკიდებული იქნება გრანტის ტიპზე, პროექტის ხანგრძლივობასა და საგრანტო დაფინანსების ოდენობაზე. ფინანსური ანგარიშის წარდგენა საჭირო იქნება გრანტის მომდევნო ნაწილის მიღებამდე.
- პასუხისმგებლობისა და გრანტის გაცემის წინ გაკეთებული შეფასებების რისკების საფუძველზე, საქართველოს გაეროს ასოციაციამ გრანტის მიმღებს შესაძლოა მოსთხოვოს დამატებითი ანგარიშების წარდგენა, მათ შორის ყოველდღიური ტრანზაქციების ამონაწერი, დამხმარე დოკუმენტაცია და სხვა ფინანსური დოკუმენტები.
- ამასთან ერთად, საქართველოს გაეროს ასოციაცია უფლებას იტოვებს განახორციელოს ფინანსური მონიტორინგი ან აუდიტი და სხვაგვარადაც უზრუნველყოს საგრანტო სახსრების მიმღები ორგანიზაციების შესაბამისი ანგარიშვალდებულება. გრანტის ყველა მიმღები სრულად იქნება ინფორმირებული ამგვარი გადაწყვეტილებების მიზეზსა და დასაბუთებაზე.

სხვა ინფორმაცია

1. საგრანტო პროგრამის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით, საქართველოს გაეროს ასოციაცია განახორციელებს მთელ რიგ საინფორმაციო აქტივობებს: ინფორმაციის გავრცელება სოციალური მედიის მეშვეობით, ვორქშოპები და საინფორმაციო შეხვედრები.
2. აღნიშნული დოკუმენტი და მასში ცვლილებები გამოქვეყნებულია საქართველოს გაეროს ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. ყველა განმცხადებელი პასუხისმგებელია დარწმუნდეს, რომ იყენებს განაცხადის მოთხოვნის ფორმისა და სხვა შესაბამისი შაბლონების უახლოეს ვერსიებს.
3. გრანტის ყველა მიმღები ვალდებულია დაიცვას საქართველოსა და აშშ-ის მთავრობის მიერ დადგენილი ყველა შესაბამისი სტანდარტი, კანონი და რეგულაცია. საქართველოს გაეროს ასოციაცია გრანტის მიმღებებს მიაწვდის დეტალურ მითითებებს.

4. ყველა მოქმედი წესისა და რეგულაციისათვის, პოტენციურმა აპლიკანტებმა უნდა მიმართონ სტანდარტული საგრანტო ხელშეკრულების ფორმას (რომელიც ამ განაცხადის მოთხოვნის ფორმის ნაწილია), ეს წესები და რეგულაციები ეხება გრანტის ყველა მიმღებს, განურჩევლად გამოყენებული საგრანტო ინსტრუმენტისა.
5. საქართველოს ინტეგრაციის საგრანტო პროგრამის ფარგლებში საქართველოს გაეროს ასოციაცია მოხარულია მიიღოს განაცხადები პოტენციური ახალი პარტნიორებისგან, რათა ხელი შეუწყოს საქართველოში მრავალფეროვნებისა და ეროვნული ერთიანობის მიმართულებით მომუშავე აქტორთა წრის გაფართოებას.